

სწავლების საფეხური	პროფესიული, III საფეხური
სპეციალობა	მემცენარე
პროგრამის ტიპი	აკადემიური
პროგრამის ხელმძღვანელი	ლეილა ებრალიძე სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	მემცენარის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ფორმა	დღის სწავლება
პროგრამის მოცულობა	60 კრედიტი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	პროგრამაზე სასწავლებლად დაიშვება პირი, რომელსაც გავლილი აქვს ამ პროგრამის II საფეხური ან წარმოადგენს შესაბამისი პროფესიული განათლების აღიარების დოკუმენტს.
სწავლების ენა	ქართული
სწავლების ფორმატი	ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული სამუშაო, საწარმოო პრაქტიკა, ინდივიდუალური მუშაობა
საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა და მიზანი	მემცენარეობის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ – ჩვევები აღნიშნული სპეციალობით, რომელსაც ექნება ცოდნა მემცენარეობის, კერძოდ, ერთწლიანი კულტურების შესახებ; ეცოდინება თესლის მომზადება და ნიადაგის დამუშავება; სასუქების დროული და შესაბამისი გამოყენება; სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის კომერციული სახის მიცემა.
სწავლის შედეგები და კომპეტენციები	<p>ცოდნა და გაცნობიერება: აქვს საბაზო ცოდნა ნიადაგის დამუშავების შესახებ, თესლის მომზადებისა და დათესვის ვადების შესახებ; შეუძლია ნერგების გამოყვანა და დასარგავად მომზადება; იცნობს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, მათ მორფოლოგიას და სისტემატიკას, მოსავლის აღების წესებს. შეუძლია მეურნეობაში გავრცელებული ძირითადი ჯიშების იდენტიფიცირება.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეუძლია სასოფლო სამეურნეო კულტურების ჯიშების შერჩევა, სათესლე და სარგავი მასალის მომზადება; შეუძლია მოსავლის მოსაყვანად შესაფერისი ფართობის შერჩევა და დაგეგმარება, ნიადაგის მომზადება, გაფხვიერება და განოყიერება, ნიადაგის დამუშავება, სასუქების, აგროქიმიკატების და პესტიციდების შესაბამისი დოზებით და უსაფრთხოების წესების დაცვით გამოყენება; შეუძლია აღებული მოსავლის დაფასოება სარეალიზაციოდ.</p> <p>შეუძლია სარეველების იდენტიფიკაცია, სარეველებთან და მავნებელ დაავადებებთან ბრძოლა; საჭიროების შემთხვევაში მორწყვის დროის, ხანგრძლივობის და პერიოდის შეფასება, სასოფლო სამეურნეო იარაღების გამოყენება;</p> <p>დასკვნის უნარი: შეუძლია ხელმძღვანელთან კონსულტაციის შემდეგ საშუალო სირთულის ამოცანის გადაწყვეტა. შეუძლია ჩატარებული სამუშაოების ეფექტურობის შესახებ დასკვნების გამოტანა, შედეგების გაანალიზება.</p> <p>კომუნიკაციის უნარი: შეუძლია მემცენარეობასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე, აქვს პროფესიულ სიტყვათა მარაგი, ფლობს უცხო ენას საბაზო დონეზე</p> <p>სწავლის უნარი: შეუძლია წყაროების მოძიება, დამუშავება, სწავლის დაგეგმვა. სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების უზრუნველყოფა.</p> <p>ღირებულებები: იცნობს უნივერსიტეტის ეთიკურ ნორმებს; შეუძლია ურთიერთობა პედაგოგებთან და სტუდენტებთან. იცნობს პროფესიული საქმიანობის დამახასიათებელ ღირებულებებს;</p>
დასაქმების სფეროები	სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს სხვადასხვა სახის ფერმერული მეურნეობებში, სასოფლო - სამეურნეო ან დარგობრივი წარმოებებში.
აკადემიური რესურსი	პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის 2 ასოცირებული პროფესორი, 1 აკადემიური დოქტორი, და პრაქტიკოსი სწავლული აგრონომი
მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	სასწავლო პროგრამის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფა შესაძლებელია ფაკულტეტის სასწავლო-საცდელ ბაზაზე, ფაკულტეტის მიწის სათბურებში;

	კერძო ფერმერულ მეურნეობებში. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის გასავლელად დადებულია მემორანდუმი შპს“ICON GROUP”; და შპს „ფერმერთა სახლი“
<p>საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა</p>	<p>პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 3 წელია. მოიცავს 60 კრედიტს. საიდანაც 35 კრედიტი ეთმობა ძირითადი დისციპლინებს, ხოლო სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასატვის გათვალისწინებულია 25 კრედიტი.</p> <p style="text-align: center;">სასწავლო კურსები</p> <p>უცხო ენა - 4 კრედიტი ქართული ენა მეტყველების კულტურა - 3 კრედიტი ინფორმატიკა - 3 კრედიტი ზოგადი ნიადაგმცოდნეობა - 4 კრედიტი ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები - 5 კრედიტი მცენარეთა დაცვის საფუძვლები - 4 კრედიტი სასოფლო სამეურნეო მელიორაცია -2 კრედიტი სასათბურე კულტურების წარმოება - 4 კრედიტი სოფლის მეურნეობის მექანიზაცია - 2 კრედიტი სელექცია-მეთესლეობის საფუძვლები - 4 კრედიტი სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა - 25 კრედიტი</p>
<p>შეფასების სისტემა</p>	<p>(ადეკვატურია პროფესიული სტუდენტის კრედიტების გაანგარიშების წესში მითითებული შეფასების სისტემის)</p> <p>დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; <p>საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;</p> <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.</p> <p>პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწ ავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.</p> <p>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.</p> <p>შეფასების ფორმა:</p> <ul style="list-style-type: none"> • შუალედური შეფასება • დასკვნითი შეფასება <p>შეფასების მეთოდი:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტესტი • ზეპირი გამოკითხვა • პორტფოლიო • ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი • დაკვირვება და დემონსტრირება